



გაზაფხულის დღესასწაულებს გილორჯავთ, ქალბატონებო!

ბორჯომი

7აბრტი
სუთუაბათი
2024 წელი
№6 (9324)
ფასი 40 თაბირი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

ფასდაუდებელია თქვენი ღვაწლი ქვეყნის აღმშენებლობაში

ბასიკ ამირანაშვილი

სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული

ძვირფასო ქალბატონებო, დიდი პატივისცემით გილოცავთ დედის და ქალთა საერთაშორისო დღესასწაულებს!

ქალების ღვაწლი ისტორიულად ფასდაუდებელი იყო საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებაში, ყოველთვის სიმტკიცითა და გამბეობით გამოირჩეოდა ქართველი ქალი და ასევე გრძელდება დღეს. განუზომლად დიდია ქალის როლი ქვეყნის აღმშენებლობაში. გისურვებთ მრავალ ბედნიერ დღეს, ჯანმრთელობას და წარმატებებს, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე პროფესიულ საქმიანობაში.



ქალბატონებო, დავილორჯავთ წმინდა ლეჩაქს!

ოთარ არბოლიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი

ძვირფასო ქალბატონებო, გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს! გისურვებთ ბედნიერებას, ოჯახურ სიმშვიდეს, ჯანმრთელობასა და წარმატებებს!

დღეს საქართველოში თანასწორობის და თავისუფლების მიმართულებით არაერთი გამომწვევა გვაქვს, მათ შორის, კვლავ რჩება ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტები და რაც კიდევ უფრო შემამფოთებელია და დასაგმობია.

ჩვენს სამაყოდ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ისტორიულად ყოველთვის დაფასებული იყო ქალის როლი საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებაში. ჯერ კიდევ XII საუკუნეში გვაყვავდა მეფე თამარი. XX საუკუნის დასაწყისში კი, როდესაც პოლიტიკურ პროცესებში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალების მონაწილეობა იშვიათობა იყო, საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას უკვე ჰყავდა პოლიტიკური პარტიისა და დამოუკიდებელი კრების წევრი ქალები.

გილოცავთ გაზაფხულის დღესასწაულებს. სიკეთე და სიყვარული არ მოგკლებოდეთ, ძვირფასო ქალბატონებო!



საუკუნოვანი ქალბატონის მილოცვა



გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის ღვაწლმოსილ ქალბატონს, **თინათინ შაიშარაძეს**, მარტში 100 წელი უსრულდება. ძველებურად მხნედ გამოიყურება, არც თვალს აკლია და მესხიერებაც შესანიშნავი აქვს. ქალბატონი თინათინის ჯანმრთელობისათვის ექიმებთან ერთად მისი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები ზრუნავენ. გულწრფელად ვულოცავთ ჩვენი გაზეთის რედაქციის უზუცეს წევრს დაბადების 100 წლისთავს, ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ღვთის წყალობას.

დედის დღესთან დაკავშირებით ქალბატონ თინათინს ბინაზე ვეწვიეთ, საუკუნოვანი ასაკი მიუფლოცეთ, პასუხად გვითხრა: - ჩემთვის გამორჩეულ ბორჯომელ დედებსა და ქალბატონებს ვულოცავ დედის დღეს და ქალთა დღესასწაულებს. მე, როგორც საუკუნეს მიღწეული ქალბატონი ჯანის სიმრთელეს, დიდხანს სიცოცხლესა და შვილთა სიმრავლეს ვუსურვებ. ამაზე დიდი ბედნიერება ხომ არ არსებობს ქალის ცხოვრებაში. იხარეთ და იღვგრძელოთ.

თქვენს სიწოცხლეს გაუმარჯოს!



ძვირფასო ქალბატონებო!

გულწრფელად გილოცავთ გაზაფხულის ამ შესანიშნავ დღესასწაულებს. მინდა ყველა დედას, ყველა ქალბატონს გისურვოთ ჯანმრთელობა, ბედნიერება და ღვთის წყალობა, ყველა თქვენთაგანი ყოფილიყო გაზაფხულივით ლამაზი, სიხარულით გასხივოსნებული და ყვავილივით მრავალფერადი და სურნელოვანი.

თქვენ ერის გამრავლების და შვილების აღზრდის შემოქმედი ხართ, ამიტომ თქვენს სიცოცხლეს გაუმარჯოს.

გიორგი ბუბინიშვილი,

ბორჯომის მერის მრჩეველი კულტურის დარგში.

დედას

ამდენ შრომამ, ამდენ ჯაფამ მოგხარა წელში და წალარაც შეგერია ნაბლისფერ თმებში. არ მეგონა სიბერე თუ მოგეროდა, მაგრამ თურმე ყურის ძირთან ჩუმად გელოდა. შენი ლოცვა, შენი ზრუნვა დღესაც მჭირდება, შენს გარეშე, დედა, ვიცი, გამიჭირდება. შენ მაძლევდი მუდამ ღონეს და გამძლეობას, შენ იყავი ჩემი ღვინა, ჩემი დედა. ვერასდროს ვერ გადავიხდი მე შენს ამაგსა, ნამით რომ არ შორდებოდი შენ ჩემს აკვანას. სულ ჩურჩულით მიყვებოდი ლამაზ ზღაპარსა და ტკბილი ხმით მიმღეროდი „იავნანასა“. ჩემზე ფიქრით, ჩემზე ზრუნვით იყავ დალილი, მაგრამ მუდამ წმინდა გქონდა დედის მანდილი. შენ სიცოცხლის მსხმოიარე ნატვრის ხეს გავდი, მიხარია, რომ ასეთი დედა მეც მყავდი. ჩემი სულის ტაძარი ხარ და ნათლის სვეტი, ჩემი გულის გამგებელი, ჩემი იმედი. შენ მაძლევდი თუ მიჭირდა, დედა, იმედსო. ერთხანი დედა გვაყვავდა მე და იესოს, შენც წმინდანად გალიარე ღვთისმშობელივით, მერე რა რომ უბრალოდ ხარ ჩემი მშობელი.

ჯამალ ბიბილაძე.



ბიჭობაში ქალებს დღესასწაულებს!

ანტონ ობოლაშვილი

ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში

ძვირფასო ქალბატონებო, პირველ რიგში ყველა დედას გილოცავთ დედის დღეს! დედა არის შეუფასებელი სიწმინდე თითოეული ჩვენთაგანის გულში. ის არის პირველი ქალბატონი ჩვენი ცნობიერებაში.

მინდა მთელი გულით მოგილოცოთ 8 მარტი - ქალთა საერთაშორისო დღე! საქართველო თავისი ისტორიით ყოველთვის გამოირჩევა ქალის როლს ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაში.

ჩვენ თამარის მემკვიდრე ვართ, ჩვენს რიგებში მოღვაწეობდნენ ქალები, რომლებიც ვერ კიდევ 1919 წელს არჩევნებში აირჩიეს და რომელთაც ხელი მოაწერეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აქტს. ეს ისტორიული წარსული დასტურია ჩვენი ქვეყნის ქალების თანასწორობისა და სიძლიერის, რომელთა დამსახურებაა უამრავი მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილება, რომელმაც ქვეყანა და სრულიად მსოფლიო უკეთესობისკენ შეცვალა.

ყველა დედას, თითოეულ ქალბატონს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, მშვიდობასა და კეთილდღეობას პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში!



პედნიერება და სიხარული არ მოგკლებოდეთ

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ძვირფასო დედეებო, გულწრფელად გილოცავთ დედის დღეს და ქალთა საერთაშორისო დღესასწაულს! თქვენი ყოველდღიური შრომა და ბრძოლა შვილების უკეთესი მომავლისთვის, უზრუნველი ცხოვრებისეული პირობების შექმნისთვის ფასდაუდებელია ჩვენი ისტორია ხომ საქართველოს ქალების, დედების სათნოების, გამბეობის, თავდადების და გამძლეობის მაგალითია. თქვენ ხართ მთავარი სიცოცხლის წყარო. გულწრფელი, უანგარო სიყვარულისა და სიხარულის გამზიარებელი. შვილებისთვის დიდი ძალა და იმედი!

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და დიდხანს სიცოცხლეს. გქონდეთ მტკიცე რწმენა, რომ შვილები აღზარდით მშვიდ გარემოში, გადასცეთ და ჩაუნერგეთ სულიერი ფასეულობები, ხელი შეუწყობთ მათ განათლებულ, წარმატებულ და სამაყო ქართველებად ჩამოყალიბებას. და რაც მთავარია, გისურვებთ იმას, რომ შვილების კონსტრუქციული ქმედებებით მუდამ გეამაყოთ.

დღეს კი ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოში იმაზე მეტი ქალია, ვიდრე ოდესმე, ხუთი მუდმივმოქმედი კომისიიდან სამი კომისიის თავმჯდომარე სწორედ რომ ქალია. ეს დიდი წინგადადგმული ნაბიჯია. ვიმედოვნებ, რომ ქალთა რიცხვი მონივნავე პოზიციებზე შემდეგ წლებშიც მნიშვნელოვნად გაიზარდება!

კიდევ ერთხელ, დიდი პატივისცემით გილოცავთ დედის დღეს და ქალთა დღესასწაულს!



საქმიანი შეხვედრები ბორჯომში



საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ ინიციატივით, ბორჯომში შეხვედრა გაიმართა, რომელსაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი, მერის მოადგილე გიორგი ტაბატაძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის და სექტორული ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორმა დავით ბუჯიაშვილმა ისაუბრა საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის დინამიკაზე, მის მნიშვნელობასა და სამომავლო პერსპექტივებზე.

დახმარება შენეფიციარებს

ბორჯომის მუნიციპალიტეტში მოქმედი სოციალური პროგრამების ფარგლებში, თებერვალში 1 120 ბენეფიციარს 312 456 ლარის დახმარება გაენიჭა. მათ შორის: 205 მოქალაქის სტაციონარული მომსახურებისათვის 175 522 ლარი გამოიყო;

165 ბენეფიციარს მედიკამენტების შესაძენად 33 350 ლარით დაფინანსდა; ონკოლოგიური დაავადებების მქონე 22 პაციენტი 17 049 ლარით დაფინანსდა, ხოლო 110 მრავალშვილიანი ოჯახი 26 450 ლარით დაფინანსდა; 293 ოჯახი კომუნალური გადასახადებისათვის 10 860 ლარით დაფინანსდა; დედის დღესთან დაკავშირებით, 110 მრავალშვილიანი ოჯახს 150-150 ლარი ჩაერიცხა, რაც ჯამში 16 500 ლარია ასევე, სოციალური პროგრამების მიხედვით, დახმარება მიიღეს შშმ პირებმა, დედ-მამით ობლებმა და სხვა. აღსანიშნავია, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტში 25-მდე სოციალური პროგრამა ხორციელდება, რომელთა მთავარი მიზანი ადგილობრივი მოსახლეობის მატერიალური და სოციალური მდგომარეობის ხელშეწყობა და გაუმჯობესებაა.

რედაქციის გაზაფხულის მახარობლები



რედაქციაში ნამდვილად გამორჩეული გაზაფხულის დღეებია, ჯერ სასიამოვნო სიურპრიზით გავგახარა ფაქტმა, რომ 3 მარტი, დედის დღე ჩვენი ბულალტერის ქალბატონი ირმა ჩოჩინიძის დაბადების დღე გახლდათ, სიხარული ნამდვილად გავრავდა, როდესაც შევიტყვეთ, რომ 18 წლის შემდეგ მისი დაც არც მეტი არც ნაკლები, ისიც სწორედ 3 მარტს დაბადე-

ბულა.
4 მარტს ქალბატონ ნათელა იჩაი-ტიქიძის, გაზეთი ბორჯომის უთბილესი, პრინციპული და მართალი სიტყვის მთქმელი ოპერატორის დაბადების დღეა.
5 მარტს კი რესპონდენტებსა და ჟურნალისტებს გამორჩეულად შეყვარებული, 3 შვილზე მზრუნველი დედის და ერთგული მეუღლის, ჩვენი მშვენიერი ნათქვამი მელაქიძის დაბადების დღეა.
8 მარტს, რედაქციის უხუცესი ნეკრის, მშვიდი, განონასწორებელი, გულთბილი ხასიათის ქალბატონის სპაბა ხაჩიძის დაბადების დღე გვიღამაზებს.
ვულოცავთ, რედაქციის ქალბატონებს დედის დღესა და ქალთა დღესასწაულებთან ერთად დაბადების დღეს. გაზაფხულით მზიან და ფერად დღეებს ვუსურვებთ თითოეულ მათგანს. მათი სურვილები სულ მალე შედრეკიერების ფერებით აღვსილიყოს.
ბაზემი „ბორჯომის“ რედაქცია.

28 თებერვალი, 2024 წელი. ბაკურიანის პარკი

ბაკურიანი - 2025 წლის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის პრეზენტაცია. დაუვიწყარი, ლამაზი და საინტერესო საღამო. მზიანი, მშვიდი, ამინდი, ლურჯი ცა, უამრავი ხალხი და პატარა-პატარა საჩუქრები... ფესტივალის თილისმა "გუნდა", რომელთანაც ამ დღეს დიდმა თუ პატარებმა უამრავი, დაუვიწყარი სურათები გადაიღეს... სცენიდან ჟღერს მუსიკა, სიმღერები... ფესტივალის ორგანიზატორი მამუკა ხაბარდო, სტუმრები ევროპის ოლიმპიური კომიტეტიდან, ბაკურიანის სსიპ განვითარების ხელმძღვანელი ეკატერინე ოვრონიკიძე მიესალმნენ დამსწრე საზოგადოებას და ისაუბრეს თუ როდენ დიდი მნიშვნელობა აქვს,



ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თამაშების ჩატარებას ჩვენი ქვეყნისთვის... ნანატრი ოცნებების ათვლა დაიწყო...
ბაკურიანი-ბიატლონი თხილამურებით რბოლა, სამთო სათხილამურო (ალპური) სრიალი, სნოუბორდინგი, სრიალი თავისუფალი სტილით (ფრისთაილი).
ბათუმი - ფიგურული ციგურაობა, ციგურებით რბოლა (შორთ თრეკი).
თბილისი - ყინული სპორტი.
ბაკურიანი 2025 ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ეგიდითა და საქართველოს მთავრობის მხარხარებით გაიმართება.

ქალბატონი

ბორჯომის ქალბატონი სახელმწიფო მონაწილეობის კონკურსი

ეს შედლო 10 წლის თეა რუსიტაშვილი, - ბორჯომის სპორტსკოლის და ბორჯომის №3 საჯარო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლე.
მას შემდეგ, რაც 16-18 თებერვალს სამცხე-ჯავახეთის პირად პირველობაზე ჭადრაკში თეამ და ბარბარე შონიამ ადვილად სძლიეს უფროსი ასაკის (13-14 წლის) ვაჟებს (თეამ) და გოგონებს (ბარბარემ), 22 თებერვალს ისინი ჩაებნენ საქართველოს ჩემპიონატში, თანატოლებთან ბრძოლაში, რომელიც თბილისის ჭადრაკის სასახლეში 2 მარტამდე მიმდინარეობდა. შეჯიბრება შეეცარაიული სისტემით 9 ტურად გაიმართა.
თეამ გამარჯვებით დაიწყო, ბარბარემ კი პირველი პარტია, სამწუხაროდ წააგო. ბარბარე არ დაიბნა და შემდგომი 5 პარტია მოიგო! 20 მონაწილეს ტურნირის შუაგულში ორი ლიდერი ჰყავდა, ორივე ბორჯომელი: თეა და ბარბარე. ნილისყრამ თანაკლასელები ერთმანეთს მემდიდ ტურში შეახვედრა, სადაც თეამ იმარჯვა. ბოლო ტურში თეას ყაიმიც ჰყოფნიდა ჩემპიონობისთვის. ეს პარტია სწორედ ყაიმით დასრულა და 7,5 ქულით (ექვსი მოგება, სამი ყაიმი), თეა რუსიტაშვილი საქართველოს ჩემპიონი გახდა. ბარბარე 6 ქულით მესამე საპრიზო ადგილს დასჯერდა.
ბორჯომის და მთლიანად სამცხე-ჯავახეთის პირველი საქართველოს ჩემპიონობა ჭადრაკში, მოგვხსენებთ, ამ ოთხი წლის წინ 7 წლის ბარბარე შონიამ იხიემა. მან მეორედაც მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა. არის ევროპის პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი, ბათუმის ფესტივალის სამგზის გამარჯვებული, თბილისის ორგზის ჩემპიონი...
თეასთვისაც გასული წელი წარმატებული იყო. ჯერ ფოთის საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალის ვერცხლის პრიზიორი გახდა, შემდეგ კი ახალციხის რესპუბლიკური საჭადრაკო ფესტივალი მოიგო.
წინ ახალი სიმაღლეები დასაძლევია...



უხანგი ჯანგირაშვილი. მწვრთნელი.

დემური სალარიძე, ბორია საბაშვილი, თამაზი პანაეტოვი, ივა ლეკვიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჩვენი უახლოესი მეგობარი შოსია კობიძე დაკრძალვა 7 მარტს, 2 საათზე ბორჯომში, ცენტრალური სასაფლაოს ეკლესიიდან.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59 რედაქციაში შიილაგა გამომცემის ისაიი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდას.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. თბილისი, თეგლორე მღვდლის №57. borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

თოვლის ფრენბურთის ევროპის ჩემპიონატი ბაკურიანში



დასრულდა თოვლის ფრენბურთის პირველი ევროპის ჩემპიონატი 20 წლამდე გოგონებსა და ვაჟებს შორის ბაკურიანში. ტურნირი სასტუმრო კომპლექს „კრისტალის“ ტერიტორიაზე გაიმართა.
გოგონებში პირველი ადგილი ჩეხეთის ნაკრებმა მოიპოვა, მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად პოლონეთის და თურქეთის ნაკრებებმა გადაინაწილეს.
ვაჟებში პირველ ადგილზე პოლონეთის ნაკრები გავიდა, მეორე და მესამე ადგილებზე ჩეხეთის და თურქეთის ნაკრებები გავიდნენ.
ჩემპიონატმა სტარტი ბაკურიანში პირველ მარტს აიღო. ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან უცხოელ სპორტსმენებს საქართველოს ფრენბურთის ეროვნულმა ფედერაციამ უმასპინძლა.
- „ალსანიშნავია, რომ თოვლის ფრენბურთში პირველად გაიმართა ევროპის ჩემპიონატი, საქართველომ კი ლირსეულად მიიღო მასპინძლობის უფლება. ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო იტალიის, პოლონეთის, თურქეთის, ჩეხეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, მოლდოვასა და სომხეთის სპორტსმენებმა. შეჯიბრება ჩატარდა როგორც ქალებში, ისე ვაჟებში. მათთან ერთად პირველობისთვის იასპარეზეს ქართველმა ფრენბურთელებმაც“ - აღნიშნეს ორგანიზატორებმა. მათივე ცნობით ევროპის ჩემპიონატს დაესწრნენ საერთაშორისო წარმომადგენლებიც, რომლებმაც დადებითად შეაფასეს საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ფედერაციის მიერ ორგანიზებული ჩემპიონატი.
8-9-10 მარტს კი ბაკურიანი თოვლის ფრენბურთის ევროპის ტურს უმასპინძლებს.

საპრიზო ადგილები ჩვენს ბავშვებს



2024 წლის 13-დან 29 თებერვლამდე საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ორგანიზებითა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით ბაკურიანში გაიმართა ყოველწლიური სტუდენტური პროექტი „ზამთრის უნივერსიად 2024“. უნივერსიადში მონაწილეობა მიიღეს ფედერაციის წევრი უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სტუდენტური ნაკრებმა გუნდებმა შემდეგ სპორტულ სახეობებში: თოვლის რაგბი, თოვლის ფრენბურთი, თოვლის ხელბურთი, გიგანტური სლალომი (თხილამურები და სნოუბორდი).
გიგანტურ სლალომში გოგონებსა და ვაჟებს შორის ყველა საპრიზო ადგილი ბაკურიანელ სტუდენტებს შორის გადაინაწილდა. სნოუბორდში კი ბაკურიანელებს მეორე და მესამე ადგილები ერგოთ.
სლალომი. გოგონები
I ადგილი - ნინი კურტანიძე - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი;
II ადგილი - ანა მამიშვილი - თბილისის



სახელმწიფო უნივერსიტეტი;
III ადგილი - ესმერაღა გობოზოვა - სპორტის უნივერსიტეტი.
სლალომი. ვაჟები
I ადგილი - ბექა ბერძენიშვილი - გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი;
II ადგილი - გიორგი კურტანიძე - სპორტის უნივერსიტეტი;
III ადგილი - ლაშა კურტანიძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. სნოუბორდი
II ადგილი - საბა ქუმარიტაშვილი - სპორტის უნივერსიტეტი
III ადგილი - რატი გელაშვილი - სპორტის უნივერსიტეტი
რუსუდან სხირტაია

ბაკურიანელთა გზასაგადას



ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის და საქართველოს ბიატლონის ფედერაციის ხელმძღვანელობით, ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ მუშაში ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი ბიატლონში
შეჯიბრება მიმდინარეობდა ორ ასაკობრივ ჯგუფად: 16 წლამდე და უფროსები, სადაც მონაწილეობა მიიღო ბაკურიანის გუნდმა, მწვრთნელების ვიტორ და ალექსანდრე ბუძიშვილის ხელმძღვანელობით.
გუნდში ასპარეზობდა ხუთი სპორტსმენი, რომელთაგან პირველი ადგილები დაიკავეს:
არმენ ავეტისიანმა (უფროსი ასაკი), თემო ბიჩინაშვილმა (16 წლამდე), რიტა პეტროსიანმა (უფროსი ასაკი) ანი მაიტისიანმა (16 წლამდე). მეორე ადგილი დაიკავა შიო ქუჩუკიანმა (უფროსი ასაკი).
გამარჯვებულებს გადაეცათ თასი, მედლები და ფულადი პრიზები.
ალსანიშნავია, რომ ბაკურიანის გუნდის ყველა სპორტსმენი სოფელ ანდღეტიდან არის.